სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის დასკვნა

ქ.ბათუმი 27.12.2024

მარკირების განმარტება:

შესრულების სტატუსი: ამოცანა შესრულებულია
შესრულების სტატუსი: ამოცანა მეტწილად შესრულებულია
შესრულების სტატუსი: ამოცანა ნაწილობრივ შესრულებულია
შესრულების სტატუსი: ამოცანა არაა შესრულებული
კომისიის წევრების რეკომენდაცია
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი

შემოკლებები:

1. **დაწესებულება, სასწავლებელი, ბუსსს ანრი** - შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი
2. **ხარისხის სამსახური** - ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
3. **ნდ** - ბუსსს ანრის შიდა მარეგულირებელი / ნორმატიული დოკუმენტი
4. **სტრატეგიული გეგმა** - განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

ბუსსს ანრის შიდა ნდ 2-010107 „განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის და ანალიზის დებულების“ თანახმად სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგი უნდა განხორციელდეს 4 წელიწადში ერთხელ დამტკიცებული ფორმის შესაბამისად (იხ.დანართი სტარტეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგების ჩარჩო), აქედან გამომდინარე ბუსსს ანრის დირექტორის 2024 წლის 28 ოქტომბრის №08-108/24 ბრძანების საფუძველზე სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის მიზნით შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1) ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი რუსუდან დიასამიძე
2) მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი ვლადიმერ ბოგდანოვი
3) შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი ირაკლი გოგიტიძე
4) სასწავლო პროცესის მენეჯერი მაია დავითიანი
5) ბუღალტერი სოფიკო მამულაძე
6) ინსტრუქტორი აკაკი ესანჯია
7) პროფესიული განათლების მასწავლებელი ბადრი გიორგაძე

8) დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენელი ემზარ ბერიძე
9) პროფესიული სტუდენტი ლერი ცეცხლაძე

სტრატეგიული გეგმის (2021-2024 წლების) შუალედური მონიტორინგის შედეგად, კომისიის დასკვნაა:

2021 წლის 16 ივნისს გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის შესაბამისად სასწავლებლის მიერ იდენტიფიცირებულია **შვიდი სტრატეგიული მიზანი** და **15 სტრატეგიული ამოცანა**:

- **მიზანი 1: ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის განვითარება**

☑ **პირველი სტრატეგიული ამოცანა:** სწავლისა და სწავლების, წვრთნის და მომზადების ხარისხის გაუმჯობესება.

შესრულების ინდიკატორი: პროფესიული სტუდენტებისა და საწვრთნელი ცენტრის მსმენელების გამოკითხვის შედეგების ანალიზი; გაუმჯობესების გეგმა

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: გადამოწმდა ტარდებოდა თუ არა 2021-2024 წლებში პროფესიული სტუდენტებისა და საწვრთნელი ცენტრის მსმენელების გამოკითხვა. წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე დასტურდება რომ ხარისხის სამსახურს დამტკიცებული აქვს სისტემური კვლევების ყოველწლიური დროის ჩარჩოები, რომელთა შესაბამისად დადგენილ პერიოდებში ტარდება სხვადსხვა შიდა კვლევა/გამოკითხვა.
ტარდება პროფესიული სტუდენტების შემდეგი სახის გამოკითხვები:

1) პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების და საჭიროების კვლევა
2) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების და დასაქმების კვლევა
3) სასურველი ტრენინგების დადგენის მიზნით ბუსსს ანრის პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა
4) პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება

5) პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა ექსკურსიის ორგანიზების მიზნით
6) აპლიკანტის მიერ მოტივაციური გასაუბრების კომისიის მუშაობის შეფასება
7) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მოლოდინის კვლევა
8) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მოლოდინის გამართლების კვლევა

ყველა გამოკითხვას აქვს ანალიზი.

საწვრთნელი ცენტრის მსმენელების გამოკითხვა ტარდება წლის განმავლობაში, ანალიზები კეთდება 6 თვეში ერთხელ.
2021 წლიდან აღინიშნება კვლევების მეთოდის გაუმჯობესება. 2024 წლის მდგომარეობით გამოკითხვის ანონიმურობის უზრუნველყოფისა და მონაცემთა ეფექტური დამუშავების მიზნითკითხვარები ინტეგრირებულია „google-form" პლატფორმაზე.
გაკეთებულია ყველა გამოკითხვის ანალიზი. იმ შემთხვევაში თუ გამოკითხვის შედეგად გამოველნილია გასაუმჯობესებელი მხარეები, შემუშავებულია გასაუმჯობესებელი ქმედებების გეგმა და განხორციელებულია შესაბამისი ქმედებები.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

☑ **მე-2 სტრატეგიული ამოცანა:** მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის განვითარება

შესრულების ინდიკატორი: საჭიროების კვლევა; პროფესიული განვითარების გეგმა

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: გადამოწმდა ტარდებოდა თუ არა 2021-2024 წლებში პერსონალის საჭიროების კვლევა, დასტურდება, რომ სისტემური კვლევების ყოველწლიური დროის ჩარჩოების შესაბამისად ჩაატრებულია პერსონალის საჭიროების კვლევა, გამოვლენილი საჭიროების

შემთხვევაში შემუშავებულია გაუმჯობესების გეგმა და შესრულებულია შესაბამისი ქმედებები.
ადამიანური რესურსების მენეჯერი პერსონალის თვითშეფასების და KPI შეფასების, ასევე პერსონალის კვალიფიკაციიდან გამომდინარე ამუშავებს/გეგმავს პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს. მტკიცებულებას წარმოადგენს პერსონალის განვითარების ყოველი წლისთვის დამტკიცებული გეგმები.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

☑ **მე-3 სტრატეგიული ამოცანა:** დისტანციური სწავლების განვითარება

შესრულების ინდიკატორი: ელექტრონული (დისტანციური) სწავლების პროცესის მართვის პროცედურა; ელექტრონული სისტემის გაუმჯობესება.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: ელექტრონული (დისტანციური) სწავლების მექანიზმი დაწესებულებამ შეიმუშავა, დანერგა და წარმატებით განახორციელა პანდემიის დროს (2019-2022 წწ.). 2022-2024 წლებში დისტანციური სწავლება არ წარმოადგენდა აუცილებლობას, შესაბამისად სწავლების ეს მეთოდი არ გამოყენებულა, თუმცა დაწესებულებას აქვს კარგი პრატქიკა/გამოცდილება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ეფექტურად.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

➢ **მიზანი 2: განათლების და წვრთნის ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გაუმჯობესება**

☑ **მე-4 სტრატეგიული ამოცანა:** საგანმანათლებლო და საწვრთნელი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების სისტემატური გაუმჯობესება.

შესრულების ინდიკატორი: ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკი, ანგარიშები, ოქმები.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: პროფესიული განათლების დეპარტამენტმა და მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრმა წარმოადგინა ურთიერთდასწრების გეგმა-გრაფიკები, რომლებიც მტკიცდება ყოველი წლისთვის/სასწავლო წლისთვის და ურთიერთდასწრების აქტები. ასევე მტკიცებულებად, ზოგ შემთხვევაში, წარმოდგენილი იყო ფოტო მასალა.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

☑ **მე-5 სტრატეგიული ამოცანა:** ISO 21001:2018 საგანმანათლებლო ორგანიზაციების მენეჯმენტის სისტემის დანერგვა - დაგეგმილია 2026-2027 წლებისთვის.

➢ **მიზანი 3: პროფესიული სტუდენტური ცხოვრების მხარდამჭერი გარემოს განვითარება და მათი უფლებების დაცვა**

☑ **მე-6 სტრატეგიული ამოცანა:** სტუდენტური სერვისების განვითარება

შესრულების ინდიკატორი: პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები; დამატებითი აქტივობების ამსახველი მასალა.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: ამოცანის შესრულების მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო სისტემური კვლევების დროის ჩარჩოების შესაბამისად ჩატარებული კვლევების ანალიზები, გაუმჯობესების ქმედებები.
დამატებითი აქტივობების მტკიცებულებას წარმოდგენილი იყოს პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების მიერ ყოველი სასწავლო წლისთვის შემუშავებული პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმები. გეგმების შესაბამისად შესრულებული აქტივობების მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო ფოტო, ვიდეო მასალა, რომელიც გასაჯაროებულია სასწავლებლის ვებ-გვერდსა და სოც.ქსელში.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

☑ **მე-7 სტრატეგიული ამოცანა:** განმავითარებელ ღონისძიებებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა.

შესრულების ინდიკატორი: პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგები; განმავითარებელ ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალა.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: ამოცანის შესრულების მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო სისტემური კვლევების დროის ჩარჩოების შესაბამისად ჩატარებული კვლევების ანალიზები, გაუმჯობესების ქმედებები.
დამატებითი აქტივობების მტკიცებულებას წარმოდგენილი იყოს პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილების მიერ ყოველი სასწავლო წლისთვის შემუშავებული პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმები. გეგმების შესაბამისად შესრულებული აქტივობების მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო ფოტო, ვიდეო მასალა, რომელიც გასაჯაროებულია სასწავლებლის ვებ-გვერდსა და სოც.ქსელში.
პროფესიული სტუდენტებისთვის ტარდება ღია ლექციები, ინტერაქტიული ლექციები, ინტეგრირებული გაკვეთილები, ტრენინგები, სპორტული და გასართობი თამაშები დასხვ. შესრულებული აქტივობების მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო ფოტო, ვიდეო მასალა, რომელიც გასაჯაროებულია სასწავლებლის ვებ-გვერდსა და სოც.ქსელში.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

➢ **მიზანი 4: ორგანიზაციული განვითარება**

☑ **მე-8 სტრატეგიული ამოცანა:** მართვის ხარისხის სისტემის გაუმჯობესება.

შესრულების ინდიკატორი: საგანმანათლებლო, საწვრთნელი პროცესების და პერსონალის შეფასება.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: სისტემური კვლევების დროის ჩარჩოების შესაბამისად ხარისხის სამსახური დადგენილი

პერიოდულობით ატარებს სხვადასხვა გამოკითხვას/კვლევას, მათ შორის საგანმანათლებლო,- საწვრთნელი პროცესების და პერსონალის შეფასების მიზნით, მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო სისტემური კვლევების დროის ჩარჩოები, გამოკითხვების ანალიზები.
ამას გარდა სასწავლებელში დანერგილია ყოველი წლის საუკეთესო თანამშრომლის გამოვლენის მექანიზმი. მტკიცებულება: ფოტო, ვიდეო მასალა, საუკეთესოების სიგელები, საპატიო დაფა.
პერსონალის შეფასებას (როგორც თვითშეფასებას, ასევე ატესტაციას და KPI შეფასებას) ახორციელებს ადამიანური რესურსების მენეჯერი

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

☑ **მე-9 სტრატეგიული ამოცანა:** ადამიანური, ფინასური, მატერიალური და საინფორმაციო რესურსების განვითარება.

შესრულების ინდიკატორი: პროფესიული განვითარების გეგმა; კვალიფიციური პერსონალი; მდგრადი ბიუჯეტი; სტანდარტებთან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; თანამედროვე საინფორმაციო რესურსები.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი:

- <u>ადამიანური რესურსების განვითარება:</u> ადამიანური რესურსების მენეჯერის მიერ წარმოდგენილი იყო პერსონალის განვითარების გეგმები, რომელთა შესაბამისად პერსონალს ჩაუტარდა სხვადასხვა ტრენინგები (მტკიცებულება ფოტო, ვიდეო მასალა, ხელსეკრულებები ტრენერებთან, ტრენინგების სერტიფიკატები, წიგნი N09-101).
  თუმცა აღინიშნება საკადრო უკმარისობა: ერთი პიროვნება დაკავებულია 2 პოზიციაზე, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში არ არის განყოფილების უფროსი, ზოგ სტრუქტურულ ერთეულში შტატით გათვალისწინებულია 2 თანამშრომელი და შემსრუბელია 1. მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრში ნაკლებობაა ახალგაზრდა გამოცდილი საზღვაო დარგის სპეციალისტების/ინატრუქტორების.

- <u>მდგრადი ბიუჯეტი</u>; ბიუჯეტში გათვალისწინებულია როგორც აუცილებელი ასევე გაუთვალისწინებელი ხარჯები.
- <u>სტანდარტებთან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა</u> - სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება საგანმანათლებლო და საწვრთნელი სტანდარტების მოთხოვნებს, თუმცა გაუმჯობესების მიზნით, სასურველია განახლდეს სამუშაო სივრცეებში ინტერიერი; სამუშაო სივრცეები სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან (2022 წლის 1 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება № 341). სამუშაო სივრცეებში გასაახლებელია კომპიუტერული და საბეჭდი ტექნიკა/დანადგარები.
- <u>ბუსსს ანრის საინფორმაციო რესურსები</u> შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

დასკვნა: ამოცანა მეტწილად შესრულებულია.

კომისიის წევრების რეკომენდაცია: 2025 წლისთვის დაიგეგმოს შემდეგი გასაუმჯობესებელი ღონისძიებები:

- საშტატო ერთეულების შესავსებათ კვალიფიციური პერსონალის მოწვევა, ასევე ინსტრუქტორებად ახალგაზრდა მეზღვაურების მოწვევა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისად; სამუშაო სივრცეები მოყვანილ იქნას სრულ შესაბამისობაში „სამუშაო სივრცეში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნებთან (2022 წლის 1 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება № 341).
- სამუშაო სივრცეებში გასაახლებელია კომპიუტერული და საბეჭდი ტექნიკა/დანადგარები.

☑ **მე-10 სტრატეგიული ამოცანა:** გუნდის შეკვრისა და ფორმირების ხელშეწყობა.

შესრულების ინდიკატორი: პერსონალის გამოკითხვების შედეგები; ღონისძიებებში მონაწილეობის ამსახველი მასალა.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: წარმოდგენილია მტკიცებულებად ექსკურსიის დაგეგმვის მიზნით პერსონალის გამოკითხვის ანალიზი; ექსკურსიის ფოტო, ვიდეო მტკიცებულება. სასწავლებლის ხელმძღვანელობის მიერ ორგანიზებული კორპორატიული საღამოების ფოტო, ვიდეო მტკიცებულება.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

- **მიზანი 5: პროფესიული განათლების უზრუნველყოფა შრომის ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით**

☑ **მე-11 სტრატეგიული ამოცანა:** შრომის ბაზრის კვლევა

შესრულების ინდიკატორი: კვლევების დამადასტურებელი ანგარიში, ანალიზი

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: ხარისხის სამსახური წელიწადში ერთხელ ატარებს დამსაქმებლების კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევას.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

☑ **მე-12 სტრატეგიული ამოცანა:** მე-IV და მე-V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, განხორციელება და შემდგომი განვითარება - დაგეგმილია 2025-2026 წლებისთვის.

2024 წელს უნარების სააგენტოს და საზღვაო ტრანსპორტის სააგნტოს მიერ, საზღვაო კოლეჯების ჩართულობით, მოხდა არსებული მე-III საფეხურის საზღვაო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა და 2025-2026 წლიდან იგეგმება ამ პროგრამების უკვე მე-IV საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებად ჩაშვება.

- **მიზანი 6: პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის კომპონენტით უზრუნველყოფის გაუმჯობესება**

☑ **მე-13 სტრატეგიული ამოცანა:** დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გააქტიურება საწარმოო პრაქტიკის ბაზის და შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.

შესრულების ინდიკატორი: სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები დამსაქმებლებთან; უკუკავშირი დამსაქმებლებისგან

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: პრაქტიკის, კარიერის დაგეგმვისა და პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობის განყოფილება გეგმიურად აწყობს პროფესიული სტუდენტების და დამსაქმებელების შეხვედრებს; მტკიცებულება: პროფესიული სტუდენტების აქტივობების გეგმები, ფოტო, ვიდეო მასალა, რომელიც გასაჯაროებულია სასწავლებლის ვებ-გვერდსა და სოც.ქსელში.
ხარისხის სამსახური სისტემური კვლევების ყოველწლიური დროის ჩარჩოს შესაბამისად ატარებს დამსაქმებლების კმაყოფილებისა და საჭიროების კვლევას; მტკიცებულება: კვლევების ანალიზები, გაუმჯობესების გეგმა.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

☑ **მე-14 სტრატეგიული ამოცანა:** საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით თანამშრომლობის გაძლიერება პოტენციურ დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან.

შესრულების ინდიკატორი: ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: ბუსსს ანრის გაფორმებული აქვს 13 ხელშეკრულება დამსაქმებლებთა, აღინიშნება ყოველწელს არა ნაკლებ ერთ ახალ დამსაქმებელთან გაფოემბული ხელსეკრულება.

ბუსსს ანრის საკუთრებაში გააჩნია სასწავლო-საწვრთნელი გემი, რომელზეც ხორციელდება პრაქტიკული ნაწილი, თუმცა დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს პრაქტიკის ალტერნატიული ობიექტი და გაფორმრბული აქვს ხელშეკრულება ახტიართან 2021 წლის 05 ნოემბრიდან 10 წლის ვადით.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

- **მიზანი 7: მეზღვაურთა საწვრთნელი ინფრასტრუქტურის განახლება-განვითარება**

☑ **მე-15 სტრატეგიული ამოცანა:** არსებული ტრენაჟორული, სტენდური და კომპიუტერული დანადგარების, კომპიუტერული სასწავლო პროგრამების და საგამოცდო ტესტების განახლება.

შესრულების ინდიკატორი: ტრენაჟორული და სიმულატორული ფლობის და პროგრამული უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მონიტორინგის შედეგად შესრულების სტატუსი: ტრენაჟორები და სიმულატორები შეესაბამება უახლეს მოთხოვნებს; ბუსსს ანრი უზრუნველყოფს ტრენაჟორების და სიმულატორების განახლებას ახალი მოთხოვნების გამოცემისას; მტკიცებულება: ტრენაჟერული და სიმულატორული ფლობის და პროგრამული უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დასკვნა: შუალედური მონიტორინგის შედეგად ამოცანა შესრულებულია.

სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის კომისიის წევრების საბოლოო დასკვნა:

2021 წლის 16 ივნისს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის 15 სტრატეგიული ამოცანიდან შესრულებულია 12, მეტწილად შესრულებულია 1 და 2 ამოცანა დაგეგმილია 2025-2027 წლებში, შეუსრულებელი ამოცანა არ გამოვლენილა. აქედან გამომდინარე:

სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის დასკვნა

ქ.ბათუმი 27.12.2024

1 მიზანი: პირველი, მე-2 და მე-3 სტრატეგიული ამოცანები შესრულებულია.
2 მიზანი: მე-4 სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია, მე-5 დაგეგმილია 2026-2027 წლებისთვის.
3 მიზანი: მე-6 და მე-7 სტრატეგიული ამოცანები შესრულებულია.
4 მიზანი: მე-8 სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია, მე-9 სტრატეგიული ამოცანები მეტწილად შესრულებულია, მე-10 შესრულებულია.
5 მიზანი: მე-11 სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია; მე-12 დაგეგმილია 2025-2026 წლებისთვის.
6 მიზანი: მე-13 და მე-14 სტრატეგიული ამოცანები შესრულებულია.
7 მიზანი: მე-15 სტრატეგიული ამოცანა შესრულებულია.

2021 წლის 16 ივნისს ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმის 15 სტრატეგიული ამოცანიდან შესრულებულია 12, მეტწილად შესრულებულია 1 და 2 ამოცანა დაგეგმილია 2025-2027 წლებში, შეუსრულებელი ამოცანა არ გამოვლენილა, რაც შესრულების დადებითი მაჩვენებელია (96% გეგმა შესრულებულია).

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

რუსუდან დიასამიძე_____

მეზღვაურთა წვრთნისა და სერტიფიცირების ცენტრის უფროსი

ვლადიმერ ბოგდანოვი_____

შესყიდვების და სამეურნეო განყოფილების უფროსი

ირაკლი გოგიტიძე_____

სასწავლო პროცესის მენეჯერი მაია დავითიანი_____

ბუღალტერი სოფიკო მამულაძე_____

სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის დასკვნა

ქ.ბათუმი 27.12.2024

ინსტრუქტორი აკაკი ესანჯია_____

პროფესიული განათლების მასწავლებელი

ბადრი გიორგაძე_____

დამსაქმებელი კომპანიის წარმომადგენელი

ემზარ ბერიძე_____

პროფესიული სტუდენტი ლერი ცეცხლაძე_____